

ელგუჯა ხინთიბიძე – არიანე ჭანტურია (edd.): *მეხუთე
საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის
მასალები / Proceedings of the Fifth International Symposium on
Kartvelian Studies [May 21th-24th, 2006].* თბილისი:
ქართველოლოგი, 2011, გვ. 45-54

ვინგრად ბოედერი (ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია)

**პირიანობის კონცეფცია ანგონის გრამატიკასა და თანამედროვე
ლინგვისტიკაში**

1. მეცნიერების ისტორია შეიძლება სხვადასხვაგვარად გავიგოთ და გამოვიყენოთ. მაგალითად, ენათმეცნიერების ისტორია შესაძლებელია გავიგოთ, როგორც დღევანდელი საენათმეცნიერო ცოდნის გენეალოგია; ან როგორც მუდმივი დამატების პროცესი, რომელშიც სულ უფრო მეტი ცოდნის აკუმულირება ხდება; ან კიდევ იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მუდმივი წინსვლის პროცესი, რომელშიც უკეთესი შემეცნება ძველს შეასწორებს ხოლმე და ბედმეგს ხდის მას. და ბოლოს, ენათმეცნიერის ნაშრომი, მისი მოტივები, მიზნები და ნაღვაწი შეიძლება განვიხილოთ შესაბამისი ისტორიული ეპოქის ან სხვა წინაპირობების ფონზე. თითოეული ამ თვალსაზრისთაგანი მეგ-ნაკლებად გამოწვლილვითაა აღწერილი ანგონ პირველისა და მისი გრამატიკის შესახებ ქართულად დაწერილ ნაშრომებში. ამათ გვერდით არის კიდევ ერთი სხვა პერსპექტივა, რომელიც აქ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს: მეცნიერებაში არსებობს პრობლემები, რომლებიც მუდამ სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილება. აქ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წარმოდგენილი პრობლემის პირველი დამუშავება, ვინაიდან შესაძლებელი ხდება გამოვიკვლიოთ, არის თუ არა იგი გრადიციითაგან სრულიად თავისუფალი და უფრო ახლოს დგას თუ არა პრობლემის წინათეორიულ განხილვასთან, ვიდრე პრობლემის უფრო გვიანდელი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა.

2. ბევრ რამეს, რასაც ანგონი წერს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფესვი აქვს გადგმული ევროპულ გრადიციასში. ესეითა, მაგალითად, ბრუნვის, მზნის გვარისა და სხვა მსგავსი საკითხების განხილვა. ამგვარ შემთხვევებში ანგონი არასოდეს არ წყვეტს კავშირს გრადიციასთან, არამედ მას მუდამ ყოველთვის ჭკვიანურად გადმოაქვს ხოლმე იგი და მოარგებს გრადიციულ ნიმუშებს. მაგრამ როგორ იქცევა ანგონი, როცა გრადიცია მას არაფერს სთავაზობს? ანუ, როცა ქართული ისეთ სრულიად ახალ პრობლემებს წამოჭრის, რომელთა მოთავსებაც ენათა აღწერის ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებში ვერ ხერხდება? ანგონის გრამატიკაში ამგვარი შემთხვევა ბევრია. ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. *Suffixaufnahme*, ანუ ნანათესაობითარი მსამღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, - კონსტრუქცია, რომელიც ამ ფორმით ევროპულ ენებში არ არსებობს, როგორც ეს მარი ბროსემ დაადგინა ანგონის გრამატიკის რეცენზიაში.¹ ანგონი აღწერს ამ კონსტრუქციას და მიაჩნია, რომ იგი არის “ფრად საქებელი” და “მშუენიერი” (§ 197იბ, გვ. 136 = 149²). საინტერესოა, რომ ანგონი ესთეგიკურ კატეგორიებს იყენებს იქ, სადაც ჩვენ დღეს ფუნქციონალურ-ეკონომიურ ახსნებს ვანიჭებთ უპირატესობას და შეიძლება ვთქვათ, რომ შეთანხმება მოსახერხებელია იმგვარი კომპლექსური სახელური შესიგველების დამუშავებისას, როგორცაა, მაგალითად, *კაცმან მშვლობისა ჩემისამან* (§ 197კბ, გვ. 137 = 151). საკითხი იმის შესახებ, ანგონი ჰომოლოგელეგონის მხოლოდ ესთეგიკურ-რიგორიკულ თვისებას გულისხმობდა თუ სინგაქსური დამოკიდებულების მკაფიო კოდირების სარგებლიანობას, ჩვენ გადაუწყვეტლად უნდა დავტოვოთ. და ბოლოს, ანგონისთვის ლამაზი იმდენად ალბათ არ განსხვავდებოდა კეთილისაგან. ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ანგონს ფხიზელი თვალი ჰქონდა მშობლიური ენის თავისებურებათა შესამჩნევად.

* დიდ მაღლობას მოვახსენებ ნინო ღობორჯინიძეს, რომელმაც ეს მოხსენება თარგმნა, და შუქია აფრილინიძესა და რემო კიკნაძეს, რომლებმაც სტატიის მეორე ვერსია გაასწორა. შეცდომები ჩემია!

¹ “Je ne connais aucune autre langue qui jouisse de cette propriété” (Brosset 1833: 408).

² გვერდები პირველი (1885) და მეორე გამოცემის (1997) მიხედვით.

3. ანგონისთვის ერთ-ერთი ახალი პრობლემა, რომელსაც მე აქ მინდა შევეხო, არის ე.წ. მზნის მრავალპირიანობა. ქართული მზნის სისგემის ანგონისეული აღწერა მრავალგზის იქნა ნაჩვენები, მაგალითად, თამარ ბეროზაშვილის, ელენე ბაბუნაშვილის, ალექსანდრე ფოცხიშვილისა და თედო უთურგაიძის ნაშრომებში. ასე რომ, მე ყურადღებას გავამახვილებ აქ იმ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია წინამდებარე მიმართებისათვის. განხილვას ვიწყებ ამ ციკლით:

- (1) [თავი 14: თუც მზნისა და წუალებისა მისისა] ნაწილი ესე სიგყვსა მზნა პიროვანი, თუ სადამე განჰსჯი წესიერ, თავით თუცით სიგყუა არს, მექონი ძალით სახელთა უფლისაცა და საძიებოდსა, მაგალითებრ: *ეჰსწერ*. ამას შინა ჰპოვებ უფალსა სახელსა, ესე იგი, პირსა პირუჭლსა და საძიებოსაცა მზნისასა, ესე იგი, რადმესა. *ეგსახედ ვიწერები*, ესე იგი, *მე ვიწერები სხვსაგან*. *ეგფერვე იხარებს*, ესე არს ესე: *იგი ვინმე იხარებს სიხარულითა*. (§ 234ზ, გვ. 156 = 176)³

ანგონი აქ აანალიზებს მზნის ფორმის შინაარსობრივ ღონეს. მზნა *ეჰსწერ*, ისევე როგორც ყველა სხვა მზნა, დაკავშირებულია სულ ცოცხა ორ შინაარსობრივ ერთეულთან, ერთი – “სახელი უფლისა”, მეორე – “საძიებო”. ელენე ბაბუნაშვილის მიხედვით (1970: 201-203), “სახელი უფლისა”, როგორც თავად ანგონი ამბობს, შეიძლება გავიგოთ, როგორც “ქუეძებარე”, ე.ი. სუბიექტი, თუმცა მაინც ღიად რჩება, რას აღნიშნავს აქ “სუბიექტი”; *საძიებოს* მე ვეძახი “კომპლემენტს”. კომპლემენტი ნაწილობრივ შეესაბამება ჩვენს ობიექტს, მაგრამ გარდაუვალ მზნებთან ეს არის შინაარსობრივი განსაზღვრება, როგორცაა, მაგალითად, *სიხარულითა* ამ შეხამებაში: *იხარებს სიხარულითა*. კაუზატივების შემთხვევაში მესამე ნაწილად მას ემატება განპირობებული აგენსი (ინგლისური “causee”).⁴ შინაარსობრივი ღონის ამ კონცეპტუალიზაციის ღრმა ინტერპრეტაციას აქ ვერ შევუდგები. აქ ჩვენ, პირველ ყოვლისა, გვაინტერესებს შემდეგი:

1. ანგონის მიხედვით მზნა, რომელიც “საქმეს” აღნიშნავს, “თავით თუცით სიგყუა არს”, ანუ სიგყვა ლტოცის მნიშვნელობით “ლექსი“-ის საწინააღმდეგოდ. პოტენციურად, ეს არის პროპოზიცია, ანუ ისეთი რამ, რომლის დამტკიცება ან უარყოფა შესაძლებელია. მზნა შეიცავს ორ ნაწილს (მათი “მექონი-ა”), რომლებიც პროპოზიციისათვის არის საჭირო: იმავე სუბიექტსა და კომპლემენტს. მართალია, ისინი აუცილებლად ცალკე სიგყვებად არ გვხვდება, მაგრამ მათი სემანტიკური (ან შინაარსობრივი) პოტენციალი სახეზეა - “ძალით”, როგორც ამას ანგონი ძველი ფილოსოფიური ტერმინით გამოხატავს.⁵
2. სუბიექტი და კომპლემენტი გვხვდება “მზნაში” (“ამას შინა ჰპოვებ”); ბოგჯერ ისინი მზნაში მხოლოდ დამალული არიან (“იფარჯან”),⁶ ანუ იმპლიციტურად არიან მზნაში. მაგრამ ამა თუ იმ მეთოდის საშუალებით ისინი შეიძლება ექსპლიციტური გახდნენ, რაც დღემდე ჩვეულებრივია ქართულ სკოლაში, კერძოდ, სათანადო პირის ნაცვალსახელის “შეწყობით”,⁷ რაც იგივე “კაგალიზია”, როგორც ლუი იელმსლევი (Hjelmslev 1961: 93-96) უწოდებს “ინტერპოლირების” გზით ჩაგარებული ანალიზის ამ მეთოდს. ანგონი გვთავაზობს “ეჰსწერ” მზნის ექსპლიციტებას: “ვსწერ მე

³ შდრ. “თუცება არს მზნისა შემოქმედებითისა, ვითარმედ საქმე ერთი ორთა ვიეთმე მიმართ სხუდასხუაგუარად იცხადების, მაგალითებრ: სიყუარული არს საქმე, რომელიცა ორთა ვიეთმე მიმართ იცხადების, მაგალითებრ: შემყუარებელისა მიმართ და შეყუარებულისა. ხოლო საქმე ესე ითქმის ესრეთ, ვითარმედ *ამას უყუარს იგი* და *იგი შეიყუარების ამისგან*. და ესენი ორნივე არიან პირუჭლისამებრ სახისა.” (§ 277ა, გვ. 200 = 230).

⁴ შდრ. “[ყოვლად] შესაძლებელ-არს საქმე ერთი სამთაცა მიმართ განცხადებად, მაგალითებრ: *შენ შეცოდებულსა ამას მეგობარსა შენსა მთავარსა მეფისასა შეაწყალებინებ მეფისა მიმართ*. აქა სამთა მიმართ განცხადანა საქმე ერთი, ესე იგი: 1, *შენდაძი*, ვითარმედ შენ მიერ ჰმოქმედებს მეგობარი შენი მთავარი მეფისა მიმართ, 2, *მთავარი იგი*, რომელი ჰმოქმედებს მეფისა მიმართ და 3, *მეფე*, რომელი ჰმოქმედებს მთავრისა მიერ მეგობრისა შენისა, ესე იგი, შენ ჰმოქმედებ საშუალობითა მთავრისა და მეფისათა შეწყალებასა შეცოდებულისასა და ითქმის ესთა: *შენ შეაწყალებინებ (შეცოდებულსა მას) მეგობრისა შენისა მიერ მთავარსა მეფესა*, ხოლო *შეაწყალებინებ* მზნა იგი არს მრჩობლ-სხმი-გარდასლვითი.” (§ 277ე, გვ. 200-201 = 231).

⁵ ძალი აქ აღნიშნავს პოტენციას წინადადების იმ წვერთა საპირისპიროდ, რომლებიც ნამდვილად ჩანს წინადადებაში. სულხან-საბა ძალიან ცხადად აღწერს ამ ცნებას: “ვითარცა კვერცხი (მფრინველი არს ძალითი და არა მოქმედებითი.” (ორბელიანი 1991 sub voce ძალითი) ორივე ცნება მომდინარეობს არისტოტელეს ცნებათა წყვილიდან: *δύναμις* და *ἐνέργεια*.

⁶ შდრ. “სახელნი, რომელა უფალნი მზნათანი, სიგყუასა შინა იფარჯან და არღა ჰსჩანნ მოქმედებით, *ეგსახედ მზნანიცა იფარჯან ოდესმე*” (§ 317, გვ. 215 = § 316, გვ. 251).

⁷ “პირების შეწყობა” (ეს ცნობა გულავერ ჭარულიშვილს ეკუთვნის).

რაიმეს”, სადაც ანგონი მხედველობაში არ იღებს ირიბ ობიექტს. ეს სემანტიკური უნარი დამოუკიდებელია დიათეზისგან; არაფერი არ შეიცვლება, თუ, მაგალითად, მოქმედებითი *კპსწერ* ფორმის მაგიერ *იქერება* ვნებითი ფორმა იქნება გამოყენებული.

3. შეიძლება გვეფიქრა, რომ ანგონი ლაპარაკობს მზნის ვალენცობის შესახებ, ანუ მზნის პოტენციალის შესახებ, თვითონვე განსაზღვროს თავისი კონტექსტი (თავისი არგუმენტების სახით). მაგრამ ანგონი გულისხმობს არა მზნური ლექსიკური ერთეულის თვისებას, არამედ ერთწევრიანი წინადადების თვისებას, რომლის მზნური ფორმაც პოტენციურ პროპოზიციას შეიცავს. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანგონის აღწერა ლოგიკურ-სემანტიკური ხასიათისაა.

4. ასახა თუ არა ანგონმა ქართული მზნის პოლიპერსონალურობა, “მრავალპირიანობა”, როგორც ეს თამარ ბეროზაშვილმა (1948) იუარაუდა?⁸ აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ ის, თუ რა იგულისხმება პირიანობაში (შდრ. ენუქიძე 1974, გამყრელიძე 1979). თუ პირიანობას გავიგებთ ვალენცობად, მაშინ შესაძლებელია, რომ ის, რასაც ანგონი “ვსწერ” მზნის შესახებ ამბობს, შესაბამისი გერმანული და ინგლისური მზნის შესახებაც ვთქვათ, სახელდობრ ის, რომ, მაგალითად, “წერას” ორი არგუმენტი აქვს. თუ პირიანობას პოლიპერსონალურ ფორმას დავუკავშირებთ, მაშინ საქმე სულ სხვაგვარად წარმოჩნდება. დავუშვათ, რომ ქართული მზნა პოლიპერსონალურია იმ გაგებით, რომ ზოგიერთ მზნურ ფორმაში მოიპოვება ნიშნები, რომლებიც სუბიექტს მიემართება და, ამავდროულად, ისეთი ნიშნებიც, რომლებიც ობიექტს მიემართება, როგორც, მაგალითად, ფორმაში *მწერთ თქვენ მე მას*, რომელშიც ობიექტს ეკუთვნის, ხოლო *თ* – სუბიექტს. თუ პოლიპერსონალურობა ამგვარად იქნება გაგებული, მაშინ ვერ ვიგყვივთ, რომ ანგონი “მრავალპირიანობას” გულისხმობს. პირიქით, ბევრი რამ იმას მიაჩნდება, რომ “პირი” მორფოლოგიური გაგებით ანგონისათვის ყოველთვის სუბიექტურ პირს ნიშნავს; ფინიციური მზნა არის “პიროვანი” იმდენად, რამდენადაც მას ყოველთვის გააჩნია სუბიექტური პირი, ისევე, როგორც ბერძნულ, სომხურ ან რუსულ მზნას. ის, რომ “პირში” სუბიექტური პირი იგულისხმება, ჩანს, პირველ ყოვლისა, ცნებიდან “პირნაკლი”:

- (2) პირუშლისა ხაგისა მაგალითი: *შეგკრავ, შეგკრავს [...]* მეორე ხაგისა მაგალითი: *შემკრავ, შემკრავს*. ხოლო პირუშლი და მეორე ესე ხაგი პირნაკლი ყოვლისა უღლულებისა, ყოველთა ხაგთა ქუშშე შემკრდომ არიან შემოქმედებითად, პირუშლსახედ, და სხმით-გარდასლუთად, და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთად და მიმოხრებიან ყოველთა სქესთა, ყოველთა რიცხუთა და ყოველთა დროთა შინა. (§ 32, გვ. 33 = 38)

ეს იმას ნიშნავს, რომ *შეგკრავ, შეგკრავს* პარადიგმას აკლია ფორმა, რომელშიც II პირი სუბიექტი იქნებოდა, ამის გამოა იგი “პირნაკლი” და არა “კანონიერი” (§ 239, გვ. 158 = 178). მეორე მინიშნება იმის შესახებ, რომ “პირი” მხოლოდ სუბიექტის პირს აღნიშნავს, არის შეთანხმების ანგონისეული აღწერა. *ვპსწერ* ფორმაში *ვ* შეთანხმდება სუბიექტს, მაგრამ *მ* მწადს ფორმაში ანგონისთვის არის სუბიექტის შეთანხმების შემთხვევა. როგორც ე. ბაბუნაშვილი (1970: 138-139) და ალ. ფოცხიშვილი შენიშნავენ (1995: 236), ამ შემთხვევაში განსხვავება ვინისა და მანის რიგს შორის არავითარ როლს არ თამაშობს. *მრწამს*-ში *მ* ისეთივე “მაპიროვნება”, როგორც *ვპსწერ*-ში *ვ*; ორივე ნიშანი შეესაბამება “უფალ სახელს”, ე.ი. სუბიექტს ჩვენი გაგებით. *ვ* და *მ* ამ თვალსაზრისით სუბიექტის ნიშნის ალმორფებია, როგორც ჩვენ ვიგყვივთ დღეს. მათ ერთი და იგივე მორფოლოგიური პოზიცია უკავიათ, რეფერენციალურად ისინი ერთსა და იმავეს აღნიშნავენ და მათი ექსტრაგერბალური შესაგყვისი ერთი და იგივეა, სახელდობრ - *მე*. მაგრამ რამდენადაც *მე* ვხედავ, ანგონი არსად არ ამბობს, რომ მზნა თავის ობიექტთან შეთანხმებულია. არ უნდა შეეფერებოდეს სიმართლეს, რომ ანგონი ვერ ხედავდა *მ*-ს ილენგურობას ფორმებში: *მრწამს, შემკრავს*, მაგრამ იგი არ ლაპარაკობს ამის შესახებ. განსხვავება სუბიექტსა და ობიექტს შორის სემანტიკურია და არა მორფოლოგიური ხასიათისა, და ასევე აღიწერება ობიექტური პირიც. წინადადებაში: *მოგუთხრობენ, ვითარმედ* ობიექტის პრეფიქსიანი მზნის ფორმის შესახებ ანგონი წერს:

⁸ “დეფექტური პარადიგმების” შესახებ (*შეგკრავ, შეგკრავს* და *შემკრავ, შემკრავს*, იხილეთ ქვემოთ) ანგონი წერს: “პირუშლისა ხაგისა ქუშშე ჰსჩანნ ორნი მოქმედნი, ესე იგი, პირი პირუშლი და მესამე, ივენებს პირი მეორე. და სათანადო არს აქა, რათა იყოს ერთი ვიღრემე ვნებული, რომელა პირი მეორე, ორთა ნამოქმედებთა, რომელიცა მაგალითითა ამით იჩუქნების: *შეიკრვი* ჩემგან; *შეიკრვი* მისგან.” (§ 33, გვ. 34 = 39). ამის მიხედვით თ. ბეროზაშვილი (1948: 38) ამბობს: “მაშ, მზნაში ერთდროულად ჩანს მოქმედისა და მოქმედების ობიექტიც, ე.ი. რამდენიმე პირი. ეს შენიშვნა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მრავალპირიანობა – სუბიექტის გარდა ობიექტის პირის აღნიშვნა მზნაში, ქართული ენისათვის სპეციფიკური მოვლენა, ანგონმა შენიშნა.” ამ ამრის კრიტიკული განხილვისათვის იხ. ა. ფოცხიშვილი 1995: 235-236.

- (3) ჩუშნ, ნაცუალ-სახელი არსებითი, მიცემითად ბრუნული, არს ძალით მდებარე საძიებო გზისა, ეგსახედ შესაძლებელ არს სხვსაცა საძიებოთა ყოფა ძალით (§ 435, გვ. 316 = 265)

ამგვარად, გზნაში ირიბი ობიექტის ფენომენი ისევ შესაძლო “კატალიზის” მიხედვით აღიწერება. სუბიექტისა და ობიექტის მორფოლოგიური ექსპონენტების განაწილების მოვლენა, როგორც ასეთი, ანგონს არ აინგერესებს.

ერთი სიგყვით, ანგონი არაფერს ამბობს “მრავალპირიანობის”, როგორც მორფოლოგიური პრობლემის შესახებ.⁹ ის, რომ გზნა შეიცავს სუბიექტსა და ობიექტს, მისთვის არის წმინდა სემანტიკური პრობლემა.¹⁰

5. როგორ გამოიყურება ანგონის მორფოლოგია? როგორ აღწერს იგი იმას, რასაც ჩვენ აკაკი შანიძის კლასიკური განსაზღვრების მიხედვით სუბიექტისა და ობიექტის ნიშნების კომბინაციად განვსაზღვრავთ? ამგვარი კითხვებისათვის სისგემური ადგილი ანგონთან მორფემათა კომბინაცია კი არ არის, არამედ პარადიგმა, რომელსაც იგი “ხაგს” უწოდებს და რომელიც ბერძნულ *εἰδος*-ს შეესაბამება. ანგონისათვის გზნის ფორმა *შეგრაჲ* სუბიექტისა და ობიექტის მორფემებს კი არ შეიცავს, რომლის დროსაც ობიექტის მორფემა სუბიექტისას “გამოაძევეს”, არამედ *შეგრაჲ* ანგონისათვის განისაზღვრება ამ ფორმის პარადიგმაში ჩასმით, სახელდობრ, იმ პარადიგმაში, რომელშიც მოთაესებულია მეორე ობიექტური პირის შემცველი გზნები. ანგონთან თითოეულ ობიექტურ პირს საკუთარი პარადიგმა მოეპოვება, მაგალითად, ასეთი: *შეგრაჲ, შეგრაჲს, შეგრაჲთ, შეგრაჲენ*. ამ პუნქტში ანგონი მისდევს არა ცნობილ მოდელს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული მორფოლოგიაში და რომლის მიხედვითაც სიგყვის ფორმა განისაზღვრებოდა, როგორც მორფემათა თანამიმდევრობა - მოდელი, რომელსაც ჩარლზ ჰოკიტი (Hockett 1954) უწოდებს “item and arrangement”. უფრო მეტად ანგონი მისდევს სიგყვათა პარადიგმის ანტიკურ მოდელს (ჰოკიტი-ის “word and paradigm”), რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ევროპაში გაბატონებული იყო და რომელმაც პიეტრ მეთიუთან (Matthews 1972) თეორიული დასაბუთება შეიძინა და მას აქეთ მორფოლოგიაში ახალ მიმდინარეობათა ამოსავალ წერტილად იქცა.

პარადიგმის მოდელისათვის სხვებთან ერთად ორი რამ არის მნიშვნელოვანი, რომელიც ანგონთან იოლად გამოიცნობა: პარადიგმა და გრამატიკული კატეგორიების ექსპონენტები.

1. პარადიგმები მხოლოდ სიგყვის ფორმათა სია კი არ არის, არამედ ისინი წარმოსახვენ სინამდვილეს, რომელთა მიმართებაშიც განისაზღვრება თითოეული ფორმა. ქართული მორფოლოგიის აღწერილობები ხშირად აღძრავს შთაბეჭდილებას, თითქოს გზნის ფორმა ამა თუ იმ მნიშვნელობათა მქონე მორფემათა ჯაჭვი იყოს. მაგრამ *ე* ელემენტი დაწერე ფორმაში ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძლია მივიჩნიოთ აორისგის ნიშნად, თუ ჩვენ ვიცით დაწერე ფორმის პოზიცია თავის პარადიგმაში, განსხვავებით, ვთქვათ, *ე* ელემენტისგან *გათბე* ფორმაში. ასევე, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება *გ* ელემენტის სწორად ინტერპრეტირება *შეგრაჲ* ფორმაში, განსხვავებით *გ* ელემენტისგან *გრწამს* ფორმაში, თუ გვეცოდინება შესაბამისი პარადიგმა. ამდენად, მართალია ანგონი, როცა გზნის პირიან ფორმებს პარადიგმაში თითოეული მათგანის ადგილის მიხედვით განსაზღვრავს. ის, რომ ანგონი თითოეული ობიექტური პირისათვის საკუთარ პარადიგმას უშეუბნებს, გამოდინარეობს მისი შეხედულებიდან სუბიექტური პირის უპირატესობის შესახებ, რომელსაც მე ბემოთ შევხე: სუბიექტური პირი ეყრდნობა შეთანხმებას სუბიექტთან, ობიექტური პირი კი – არა. სუბიექტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ანგონისთვის სუბიექტი და პრედიკატი ლოგიკური ფორმის მიხედვით პროპოზიციას ქმნის, ხოლო შეთანხმება გამოხატავს მიმართებას სუბიექტსა და პრედიკატს შორის.
2. ის, რომ პარადიგმა მნიშვნელოვანია მორფოლოგიისათვის, არ ნიშნავს, რომ ანგონს არ შეუძლია სიგყვების ანალიზი. მაგრამ სიგყვების სეგმენტირებისას იგი შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, რომლებშიც მათ ნაწილებს ცნებითი მნიშვნელობები აქვს, როგორც, მაგალითად, კომპოზიციებსა და იმ გზნის გზნისწინებში, როგორცაა *უკუ* (ფოცხიშვილი 1995: 222). სხვაგან იგი არ მიმართავს სეგმენტირებას; მსგავსად ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებისა, ისიც პარადიგმებს

⁹ ა. ფოცხიშვილი (1995: 235) ფიქრობს, რომ: “უფრო გასაგები იქნებოდა თქმულიყო: აკლია მეორე პირის კომბინაცია მეორესთან და პირველი პირისა – პირველთან.” ეს კი სწორია, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც ანგონი გულისხმობს. ანგონი ლაპარაკობს კომბინაციების მხოლოდ შინაარსობრივი და არა ფორმალური ღონეების შესახებ.

¹⁰ ანგონმა იცის, “რომ გზნაში შეიძლება ამრობრივად ერთდროულად გადმოიცეს როგორც მოქმედი, ისე ვნებელი: სუბიექტი და ობიექტი” (ფოცხიშვილი 1995: 236).

აღწერს, მაგალითად, მათი დაბოლოებების მიხედვით. ანგონის მიხედვით, *შევიკრვოდეთ* ფორმას აქვს დაბოლოება *ოდეთ* (§ 264ბ, გვ. 212 = 185), *შევპკრვდე* ფორმას – *უდე* (§264ბ, გვ. 181-211), ხოლო *შევპკართ* ფორმას – *ართ* (§ 266ბ, 218 = 190), მაგრამ ეს არ არის მორფემის ანალიზი, რადგან *ოდეთ*, *უდე* და *ართ* არ არის მორფემები. გრადიციანში, რომელსაც ანგონი მიჰყვებოდა, არსებობდა ცნებები “დაბოლოება” (ბერძნული τὸ τέλος, ლათინური *terminatio*) და “დასაწყისი” (ბერძნული τὸ ἄρχον) (Delbrück 1919: 17) – ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით, სიგყვის დასაწყისი და ბოლო ნაწილები ყველაზე წინ წამოწეულია ენობრივი დამუშავების დროს. მაგრამ არ არსებობდა ცნებები “ძირი” და “აფიქსი”, რომლებიც პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში ჰუმანისგმა იოჰანეს როიხლინმა შემოიგანა ევროპულ გრამატიკაში თავისი ებრაული გრამატიკის გზით.¹¹ მაგრამ ამ ცნებებმა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის შეიძინა სისტემატური მნიშვნელობა, მაგალითად, ფრანც ბოპთან (Delbrück 1919: 26-29) – ინდური გრამატიკის გაველენით, და უფრო ადრეც ფილიპ ბუტმანმა (Buttmann 1819 § 39,¹²) პირველად შემოიგანა ფუძისა (“[Biegungs-]Stamm”) და ფლექსიური დაბოლოების (“[Deklinier-/Kasus-]Endung”) სეგმენტაცია თავის ბერძნულ გრამატიკაში პედაგოგიური მიზნით. შესაბამისად, მეთვრამეტე საუკუნეში ჯერ კიდევ არ არსებობდა თვალსაზრისი, რომ სიგყვები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც მორფემებისაგან შედგენილი რამ, როცა მორფემებს წარმოვიდგენთ სიგყვათა ნაწილებად, რომლებიც ფორმას მნიშვნელობასთან აკავშირებს.

3. როგორც ითქვა, ბერძნული გრამატიკა იცნობდა სიგყვათა “დაბოლოებებსა” და – ფლექსიის გარეშე – “დასაწყისებს”. როგორც ჩანს, ანგონი მხოლოდ “დაბოლოებათა” შესახებ მსჯელობს და არა “დასაწყისების” შესახებ, თუმცა ქართული მზნის ფორმათა “დასაწყისები” ფლექსიისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დაბოლოებები. ეს ასიმეტრია, ალბათ, შემთხვევითი არ არის. დასაწყისების ფლექსია სომხურში, რუსულში, ბერძნულსა და ლათინურში არავითარ როლს არ თამაშობს. ფლექსია ამ ენებში დაბოლოებათა მეშვეობით ხორციელდება, ფლექსია კი დაბოლოებებში კოდირების კორელაცია. შესაბამისად, ანგონისთვის განსხვავება პირისა და რიცხვის მიხედვით მხოლოდ იქ არის წარმოდგენილი ფლექსიად, სადაც იგი დაბოლოებაშიც გამოჩნდება, კერძოდ, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის III პირის დაბოლოებაში, მაშინ როცა პრეფიქსებში გამოხატული განსხვავება ობიექტების მიხედვით სხვადასხვა პარადიგმების (“ხატა”) გზით არის წარმოდგენილი. შესაძლოა უფრო ღრმა საფუძველიც არსებობს საიმისოდ, რომ ანგონი სიგყვის დაბოლოებებს აღწერს, და არა სიგყვის დასაწყისებს. ქართული მზნის დასაწყისი სეგმენტები უფრო ძნელი ამოსაცნობია, ვიდრე ბოლო სეგმენტები. მართალია, ანგონი ამოიცნობს პირის ექსპონენტებს მზნის დასაწყისში (იხილე ქვემოთ), მაგრამ მაქცევრები პირველად კოტე ლოდაშვილმა და ნიკო მარმა აღმოაჩინეს (შანიძე 1926: 312). საერთოდ პრეფიქსებს სხვა სგატუსი აქვთ, ვიდრე სუფიქსებს. ქართული მზნის სუფიქსები ქმნიან ერთ შემადგენელს, პირის პრეფიქსი და მაქცევარი კი - არა. შეიძლება ვთქვათ: *მი-მო-წერა* და ასევე: *წაილიღინ-წაიკრუსუნებდა* (Fährich 1986, Boeder 2004: 45), რომელშიც სამი სუფიქსი -*ებ*, -*დ*, -*ა* ერთ შემადგენელს ქმნიან, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ: *ჩა-ი-ჩა-უ-წერა*. თუ არ ჩავთვლით მზნისწინს, სიგყვის დასაწყისი მორფემები ქართულად მოლაპარაკეთაბის უფრო ძნელად მისაწვდომია, ვიდრე სიგყვის ბოლო მორფემები.

6. რა თქმა უნდა, არც ანგიკური ეპოქის გრამატიკოსები და არც ანგონი ბრძები არ იყვნენ, რომ სიგყვაში არ დაენახათ გრამატიკული კატეგორიების ექსპონენტები. მაგალითად, ანგონი ამჩნევს, რომ მზნაში გარკვეული ფორმალური ნიშან-თვისებები “შეიძლება ამოვიცნოთ”, რომელთაც გრამატიკული ფუნქციები გააჩნია:

- (4) მზნათა შორის იცნობებიან ოთხნი რადმენი: 1, ძირი მზნისა, რადცალა იყოს, 2, ასონი მაულლებელნი ა, ე, ზ, ი, ო, უ, ჯ, 3, წიგნი მაპიროვნენი, 4, ნიშანი მამრავლენი [...] (§ 259, გვ. 170 = 194).

¹¹ “Nam quaedam [sc. pronomina] sunt separata, quaedam affixa. Separata autem appello, quoniam non faciunt unam dictionem cum eo, cui subiunguntur [მაგალითად, ებრაული მიმართებითი ნაცვალსახელი]. Affixa autem uoco, quia unam dictionem faciunt cum eo, cui subiunguntur. A quo si auellerentur, nihil eiusmodi significarent, ut [...] *hefsu* voluntas eius, ubi *vau* significat eius. et si ab alia dictione separeretur, iam ultra non significaret eius uel illius. *Vau* enim per se solitarie positum quod significet, habes in dictionario.” (Reuchlin 1506: 577). აფიქსის ეს კონცეფცია დაახლოებით უდრის ლეონარდ ბლუმფილდის “bound form”-ი.

¹² პირველი, უფრო მოკლე სასკოლო ვარიანტი უკვე 1792წ. ბერლინში გამოვიდა.

ანგონი აქ არ ლაპარაკობს მზნის მორფემების შესახებ, რომლებიც გვხვდება გარკვეულ პოზიციებში. – თ ფორმამი: შევერავთ არ არის მრავლობითის მორფემა, არამედ ის არის მრავლობითობის ნიშანი, “მომრავლე”. ასევე მზნის სხვა ფორმებში გვ და გვ არის პირველი პირის გამამრავლობითებელი, სადაც თ-სა და გუ-ს სხვადასხვა პოზიცია უკავია (§ 259ე, გვ. 170 = 194). ა, კ, ი და ა.შ. არიან “ასონი”, ანუ “ელემენტები”,¹³ რომლებშიც თითოეული უღვლილება (“ულლუა”) შეიცნობა ხოლმე. “ძირი” არ არის ძირის მორფემა, ვინაიდან ძირის ცნება ამ გაგებით, როგორც ითქვამს, მეთვრამეტე საუკუნეში არ იყო მიღებული, და არც ფორმალური ბაზისი არ ყოფილა, ანუ ის, რასაც ბერძნული გრამატიკა *θέμα*-ს უწოდებს და რომლისგანაც მორფოლოგიურად იწარმოება მზნის სხვა ფორმები. ანგონის გრამატიკაში “ძირი”, ცხადია, მორფოლოგიური ცნება არ არის, არამედ “სახელმზნა” (§ 234ა, გვ. 155 = 174), როგორც სემანტიკური ღონის ერთეული. ანგონი აქაც თავის შინაარსობრივ მიდგომას მიჰყვება: “ძირი” არის “სახელმზნა” იმ გაგებით, რომ მზნის ყველა ფორმის მნიშვნელობა მისგან მომდინარეობს. და ბოლოს, რაც შეეხება “წიგნთა მაპიროვნეთა”, ესენი სუბიექტის ნიშნებია, მაგრამ არა მორფემები. განსხვავებას ვინის რიგსა და მზნის რიგს შორის თავისი ადგილი აქვს სხვადასხვა პარადიგმებში. ფსიქოლოგიური ცნებით რომ ვთქვათ, ანგონს მზნის ფორმა ესმის, როგორც “Gestalt-ი”, რომელშიც გარკვეული ნიშან-თვისებები შეიცნობა (“იცნობებიან”). ანგონის ამრით, ეს ნიშან-თვისებები არ წარმოადგენს სიგყვის შემადგენელ ნაწილებს, რომლებდაც შეიძლება სიგყვა დაიშალოს.

7. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ანგონი ქართული ენის პრაქტიკული აღწერისას, სტივენ ანდერსონის წიგნის სათაურით (Anderson 1992) რომ ვილაპარაკოთ, წარმოადგენს “ამორფულ მორფოლოგიას” (“a-morphous morphology”), ოღონდ ისე, რომ არ ფლობს იმ თეორიულ საფუძვლებსა და იმპლიკაციებს, რომლებიც დღეისათვის გადამწყვეტია. თეორიული თვალსაზრისით იგი მყარად იყო ჩაფლული ანგიკურ გრადიციანში. და არ დაგვაიწყდეს, რომ ანგონი არ იყო ენათმეცნიერი დღევანდელი გაგებით. მისთვის, ისევე როგორც ძველი გრადიციისათვის, გრამატიკა იყო ფილოლოგიისა და ღვთისმეტყველების დამხმარე ცოდნა, “გზა სიბრძნის კარისკენ”¹⁴ და არა “სიბრძნე”, ფართო განათლების პროგრამის შემადგენელი ნაწილი და არა - სპეციალიზებული ლინგვისტიკა. ხოლო რაც შეეხება მის ისტორიულ წვლილს ენათმეცნიერებაში, დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა გადმოიღო ანგონმა სომეხი მხითარ სებასტოცის, იგალიელი მისიონერების, განმანათლებლობის ფილოსოფიის ან სხვა წყაროებიდან. ანგიკური გრამატიკიდან მან გადმოიღო სიგყვის პარადიგმათა მოდელი და სუბიექტური პირის უპირატესობის იდეა. მაგრამ იდეა, რომ ობიექტური პირი წარმოადგენდა იქნეს თითოეული პარადიგმის (“ხაგის”) მიხედვით, ორიგინალური მიდგომა, რომლისთვისაც ანგონს პრეცედენტი არ აღმოაჩნდა.

გერმანულიდან თარგმნა ნინო ლობოჯგინიძემ

გამოყენებული ლიტერატურა

[ანგონი პირველი ბაგონიშვილი კათოლიკობი] 1885: *ქართული ღრამმატიკა* შედგენილი ანგონ I-ის მიერ. გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა

ანგონი პირველი 1997: *ქართული ღრამმატიკა* (მეორე რედაქცია - 1767). გექსკი გამოცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიბა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ, ლექსიკონი დაურთო ელენე ბაბუნაშვილმა. თბილისი ბაბუნაშვილი, ელენე 1970: *ანგონ პირველი და ქართული გრამმატიკის საკითხები* / Антоний и вопросы грузинской грамматики [260-280] / Anthony and the problems of Georgian grammar [281-187] (სმა, ხელნაწერთა ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება

ბაბუნაშვილი, ელენე - თედო უთურგაძე 1991: *ანგონ პირველის “ქართული ღრამმატიკა” და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა* / “Грузинская грамматика” Антония Первого и ее национально-историческое значение [80-85] (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება

ბერობაშვილი, თამარ 1948: “მზნა ანგონ პირველის გრამმატიკაში”, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული* 3: 33-41

ენუქიძე, ლეილა 1974: “მზნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართების საკითხისათვის ქართულში” / К вопросу о соотношении синтаксической валентности и категории лица

¹³ ასონა ‘ელემენტი’ და წიგნს ‘ასო’ შორის სხვაობის შესახებ იხ. ბაბუნაშვილი 1970: 28-30.

¹⁴ “ვინაიდან მოქმედება ჩუჭნი და შრომა აწინდელი არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა გზა იყოსმცა სლუსა ჩუჭნისა არა შემაცთომელ ანუ დასაბრკოლებელ” (Einleitung, p. 1 = 8).

გურიანის გლაგოლა [66-67], *თანამედროვე მოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები* 4: 50-67
 გაბერელიძე, თამაზ 1979: "ზმნის "პირიანობა" და "ვალენტობა" " / "Валентность" и "персональность" გლაგოლა [51], *საენათმეცნიერო კრებული ეძღვნება გივი მაჭავარიანის დაბადების 50 წლისთავზე* / *Лингвистический сборник посвящается памяти Гиви Ираклиевича Мачавариани к 50-летию со дня рождения* / *Studies in Linguistics Presented to the Memory of late prof. Givi Machavariani on the Occasion of his Fiftieth Birthday* (სმა).
 თბილისი: მეცნიერება 1979: 33-51
 ორბელიანი, სულხან-საბა 1991: *ლექსიკონი ქართული*. II. ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (სმა, ხელნაწერთა ინსტიტუტი). თბილისი: მერანი
 უთურგაძე, თეოდ 1999: *ქართული ენის შესწავლის ისტორია*. ნაწილი I / *История изучения грузинского языка*. Ч. I [224 - 302] (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: ქართული ენა
 ფოცხიშვილი, ალექსანდრე 1995: *ქართული ენათმეცნიერების ისტორია* / *История грузинского языковедения*. თბილისი: განათლება
 შანიძე, აკაკი 1926: "ქართული ზმნის საქცევი", *თბილისის უნივერსიტეტის მოამბე* 6: 312-338

Anderson, Stephen R. 1992: *A-Morphous Morphology* (= Cambridge Studies in Linguistics 62). Cambridge ...: Cambridge University Press
 Boeder, Winfried 2004: "The South Caucasian languages", *Lingua* 115 (2005), 1-2 (Special issue: Caucasian. Edited by Helma van den Berg): 5-89
 Brosset, Marie Félicité 1833: "Notice et analyse raisonnée du commencement de la Grammaire géorgienne du patriarche Antoni I, intitulée L'art libéral, ou Préceptes grammaticaux", *Nouveau Journal Asiatique* 11: 385-414
 Buttmann, Philipp 1819: *Ausführliche Griechische Sprachlehre*. Berlin: Myliussische Buchhandlung
 Delbrück, Bertold 1919: *Einleitung in das Studium der indogermanischen Sprachen*. Ein Beitrag zur Geschichte und Methodik der vergleichenden Sprachforschung. Sechste, durchgesehene Auflage (= Bibliothek indogermanischer Grammatiken 4). Leipzig: Breitkopf & Härtel
 Hjelmslev, Louis 1961: *Prolegomena to a Theory of Language*. Translated by Francis J. Whitfield. Madison: University of Wisconsin Press
 Hockett, Charles 1954: "Two models of grammatical description", *Word* 10: 210-231
 Matthews, Peter H. 1972: *Inflectional Morphology*. A theoretical study based on aspects of Latin verb conjugation (= Cambridge Studies in Linguistics 6). Cambridge: Cambridge University Press
 Reuchlin, Johannes 1506: *Liber Joannis Reuchlin Phorcensis LL. doc. ad Dionysium fratrem suum germanum de rudimentis Hebraicis libri tres*. Phorce in aedib. Tho. Anshelmi sexto. kal. apriles. anno MDVI

[Abstract (omitted by the editor)]

Winfried Boeder (University of Oldenburg, Germany):

The concept of polypersonality in Antoni's grammar and in contemporary linguistics

The presentation of the Georgian polypersonal verb in Antoni's 18th century grammar deserves special attention on account of its author facing a problem that did not arise in earlier grammars which ultimately derived from the classical Greek tradition and served him as models. Antoni meets this challenge by setting up different paradigms for each object person marker. Similar to the old European tradition, his approach tends to focus on paradigmatic description ("word-and-paradigm") rather than segmentation into morphemes. His emphasis on paradigmatic description was due to the lack of the concepts of "stem" and "affix" during his lifetime. Apart from Reuchlin's 16th century Hebrew grammar, these two concepts did not come into use until early 19th century linguistics with Ph. Buttmann's Greek grammar on the one hand, and Franz Bopp's work on the other.